გიორგი გოგსაძე*

2024 წლის არჩევნები დემოკრატიებში და ნაციონალისტური პოპულიზმის ზრდა

აბსტრაქტი

სტატია ეხება ნაციონალისტური პოპულიზმის ზრდის მიზეზებს 2024 წელს ჩატარებულ არჩევნებში დასავლურ დემოკრატიულ სახელმწიფოებში და ევროპარლამენტში. ნაციონალურ-პოპულისტური დისკურსი, რომელიც „უბრალო ხალხის“ სახელით აპელირებს ელიტების წინააღმდეგ, ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ნატივიზმზე და იმიგრანტების წინააღმდეგ გზავნილებზე. პოპულიზმის აღზევებას ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები განაპირობებენ.

მიგნებების თანახმად, 2024 წელს ჩატარებულ არჩევნებში ნაციონალისტურ-პოპულისტური პარტიების წარმატება ეკონომიკური სირთულეების გარდა, კულტურულ და ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული მიზეზებით იყო განპირობებული. მათი ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილი იმიგრაციის შეზღუდვას უჭერდა მხარს. ევროპაში უკიდურესმა მემარჯვენე პარტიებმა წარმატებით მოახერხეს ანტიმიგრანტული გზავნილების უსაფრთხოების დისკურსებთან დაკავშირება, როგორიც იყო მოწოდებები „ციხესიმაგრის შექმნის“, თავშესაფრის მაძიებელთა „შემოსევის“ და „ისლამიზაციისგან“ დაცვის შესახებ. არსებული გამოწვევების ფონზე, აღნიშნული გზავნილები, პოპულისტების მხარდაჭერას განაპირობებს და ამ საკითხების მეინსტრიმიზაციას იწვევს.

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

შესავალი

მსოფლიოში უკანასკნელ პერიოდში ნაციონალისტური პოპულიზმის მოძლიერება აღინიშნება. ეს მოვლენა გამოწვევას წარმოადგენს დემოკრატიისთვის. კვლევების თანახმად, რომელშიც გაანალიზებულია მრავალი ქვეყნის შედეგი უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში, აჩვენებს, რომ პოპულისტური განწყობები მჭიდრო კავშირშია დემოკრატიულ უკუსვლასთან და კორუფციასთან.[1] მშპ-ის ზრდის მიუხედავად, პოპულიზმის გაძლიერებას ასევე ხელს უწყობს ეკონომიკური სისტემების მიმართ ნდობის ჩამოშლა (It's a major global election year…, 2024).

სხვადასხვა ქვეყნებში, 2024 წელს ჩატარებულ ეროვნულ არჩევნებში, აღნიშნულმა ძალებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. კერძოდ, საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში ლე პენის პარტიისა და დიდ ბრიტანეთში გაერთიანებული სამეფოს რეფორმის პარტიის გაუმჯობესებულმა შედეგებმა მნიშვნელოვანი გამოწვევები შეუქმნა ამ ქვეყნებში ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკას. ამასთან ერთად, ნაციონალისტურ-პოპულისტურმა პარტიებმა გააუმჯობესეს საკუთარი შედეგები ევროპარლამენტის არჩევნებში, კერძოდ ევროკავშირის 26 წევრი ქვეყნიდან 60 პოპულისტურმა პარტიამ მიიღო წარმომადგენლობა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2019 წელს 22 ქვეყნიდან 40 პარტიას შეადგენდა. პოპულისტურმა ძალებმა 720 ადგილიდან 263 მოიპოვეს, რაც დაახლოებით 36%-ს შეადგენს. ულტრამემარჯვენე პარტიებს, მათ შორის საფრანგეთის RN-სა და იტალიური იტალიის ძმებს, ჰქონდათ ყველაზე დიდი ზრდა (შედარებით ნაკლები მხარდაჭერა მიიღეს მემარცხენე პოპულისტებმა). ნაციონალისტურ-პოპულისტურმა პოლიტიკურმა პარტიებმა პირველი ადგილი დაიკავეს ავსტრიაში,

[1] უფრო დაწვრილებით იხილეთ: *It's a major global election year, and populism is on the ballot.* IPSOS. 23 February, 2024. https://www.ipsos.com/en-us/its-major-global-election-year-and-populism-ballot

საფრანგეთში, უნგრეთსა და იტალიაში (Ivaldi & Zankina, 2024(a)).[2] აღნიშნული მოვლენები ხაზს უსვამენ ნაციონალისტური პოპულიზმის აქტუალობას და მისი ზრდის მიზეზების დადგენას.

წინამდებარე სტატიის ამოცანაა, განიხილოს 2024 წელს დემოკრატიებში ჩატარებული არჩევნები. კერძოდ, გაანალიზოს სხვადასხვა მიზეზები თუ რამ გამოიწვია ნაციონალისტურ-პოპულისტური პარტიების წარმატება დემოკრატიულ სახელმწიფოებში (და ევროპარლამენტში).

სტატიაში წარმოდგენილია პოპულიზმის განმარტება და სხვადასხვა თეორიები თუ რამ გამოიწვია პოპულიზმის ზრდა მსოფლიოში. ასევე გაანალიზებულ იქნა ანალიტიკური სტატიები, მეორადი ლიტერატურა, ხოლო მასალა მოძიებულ იქნა სხვადასხვა საინფორმაციო ვებ-გვერდებზე, მათ შორის ონლაინ პლატფორმა YouTube-ზე.

პოპულიზმი: კონცეპტი და ზრდის მიზეზები

ტერმინის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რა იგულისხმება პოპულიზმში. მუდეს თანახმად (2004), პოპულიზმი წარმოადგენს ვიწროდ განსაზღვრულ იდეოლოგიას, რომელშიც საზოგადოება დაყოფილია ორ ჰომოგენურ, ანტაგონისტურ და ერთმანეთთან დაპირისპირებულ ჯგუფად და „უბრალო/უმწიკვლო ხალხი“, უპირისპირდება „კორუმპირებულ ელიტას“, ხოლო პოლიტიკა უნდა ასახავდეს უმრავლესობის ნებას. ვიწროდ განსაზღვრულ იდეოლოგიაში მოიაზრება, რომ პოპულიზმი სხვა სრულყოფილი მსოფლმხედველობებისგან განსხვავებით არ მოიცავს თანმიმიდევრულ პასუხებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ შეკითხვებზე და გააჩნია შედარებით შეზღუდული თვალ-

[2] შედეგები უფრო დაწვრილებით იხილეთ: Election Results. Comparative Tool. European Parliament. https://results.elections.europa.eu/en/tools/comparative-tool/

საწიერი. ის უკავშირდება ისეთ იდეოლოგიებს, როგორიც არის ნაციონალიზმი, სოციალიზმი და სხვა. პოპულიზმი ასევე ესმით, როგორც დისკურსი, ის ახლო კავშირშია ზემოაღნიშნულ მიდგომასთან, კერძოდ პოპულიზმი ახდენს პოპულარული ინტერესებისა და იდენტობების არტიკულაციას. ლაკლაუს თანახმად, დისკურსის პოპულისტურ იდენტიფიცირებაში უმთავრესია თუ რა დოზით არის პრივილეგირებული „ხალხი“, როგორც მისი მთავარი მიმართვის წერტილი, რასაც ავტორი „ცარიელ აღმნიშვნელად“ მოიხსენიებს (Stavrakakis, 2017, 676-677).

პანიცა განმარტავს, რომ პოპულიზმი არის ანტი სტატუს-კვო დისკურსი, სადაც ანტაგონიზმი იდენტიფიკაციის საშუალებაა. პოპულიზმი „ხალხად“ და „სხვებად“ ჰყოფს ორ დაპირისპირებულ მხარეს, რადგან ის არის ჰეგემონიისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლის ნაწილი (Gidron & Bonikowski, 2013, 10). აქედან გამომდინარე, დღეს არსებული უკიდურესი მემარჯვენე[3] ან ნატივისტური აქტორები აპელირებენ ხალხის სახელით, იყენებენ პოპულისტურ დისკურსს საკუთარი შეხედულებების გასავრცელებლად და ძალაუფლების მოსაპოვებლად.

ზემოთ მოყვანილ ორ მიდგომას აერთიანებს ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის ჰოკინსი, რომელსაც იდეაციური მიდგომის სახელით წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში, უფრო მეტად ხდება ყურადღების გამახვილება პოპულისტური იდეების შინაარსზე. პოპულიზმი ვიწროდ განსაზღვრულ იდეოლოგიასთან ერთად შეიძლება იყოს დისკურსული სტრუქტურა, რომელშიც ხალხი პოლი-

[3] უნდა აღინიშნოს, რომ მუდეს თანახმად, მეინსტრიმულ მემარჯვენე პარტიებსა და პოპულისტურ რადიკალურ მემარჯვენე პარტიებს შორის ზღვარის დადგენა ძალიან გართულდა, რადგან ამ უკანასკნელთა გაძლიერების შემდეგ ნატივისტური, ავტორიტარული და პოპულისტური დისკურსების გამოყენება მნიშვნელოვანწილად დაიწყეს მეინსტრიმულმა პარტიებმა, მათ შორის ევროსკეპტიციზმის და იმიგრაციის შეზღუდვის მიმართულებით (Populist Radical Right, ECPS).

ტიკას აღიქვამს, როგორც ბრძოლას უბრალო/უმწიკვლო ადამიანების გააზრებულ ნებასა და ბოროტ, შეთქმულ ელიტას შორის (Hawkins, 2019).[4] აღნიშნულ სტატიაში პოპულიზმი იდეაციური მიდგომის შესაბამისად არის გამოყენებული.

„უბრალო (ან ჩვეულებრივ) ხალხში“ პოპულისტური დისკურსი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ნატივიზმზე.[5] პოპულიზმი მონოკულტურალიზმს ანიჭებს უპირატესობას უფრო მეტად ვიდრე მულტიკულტურალიზმს. ეროვნული ინტერესები, სუვერენიტეტი, ჩაკეტილი საზღვრები და ტრადიციონალიზმი პრიორიტეტული უნდა იყოს, საერთაშორისო დახმარებათან, ინტეგრაციასთან, მუშახელის თავისუფალ მოძრაობასთან და პროგრესულ სოციალურ ლიბერალურ იდეებთან შედარებით (Inglehart & Norris, 2016, 7).

თანამედროვე სამყაროში პოპულიზმის აღზევებას სხვადასხვა ფაქტორები იწვევს. კერძოდ, მას გააჩნია ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მიზეზები. ეკონომიკურ მიზნებს შორის გამოიყოფა ნეოლიბერალური ეკონომიკის გავრცელება, რამაც ბარიერების შემცირება გამოიწვია და საერთო მოგების ნაცვლად მცირე კვალიფიკაციის მშრომელები დააზარალა (Prof. Francis Fukuyama:, 2017). აღნიშნულმა ცვლილებებმა სამუშაო ძალებში

[4] ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ პოპულიზმს შეიძლება მიმართავდეს, როგორც პოპულისტური ასევე არაპოპულისტური აქტორები. თუმცა, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ნაციონალისტურ-პოპულისტურ ძალებზე, ანუ უკიდურეს მემარჯვენე აქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უკიდურესი მემარჯვენე პარტია შეიძლება არ იყოს პოპულისტური და არ ემხრობოდეს დემოკრატიის ფორმებს, აღნიშნულ სტატიაში უკიდურესი მემარჯვენეები და ნაციონალისტურ-პოპულისტური პარტიები სინონიმების სახით იქნება გამოყენებული.

[5] „ნატივიზმი - ესაა მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების უპირატესი მხარდაჭერის პოლიტიკა იმიგრანტების ინტერესების საწინააღმდეგოდ“ (ნაციონალიზმი: ენციკლოპედიური ცნობარი, 2021, 104). ამავდროულად, ის შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც „ქსენოფობიური ნაციონალიზმი“.

(პოსტ-ინდუსტიალიზაციამ) და პრივატიზაციამ მცირე კვალიფიკაციის მქონე მშრომელები წაგებულ მდგომარეობაში დატოვა და მათ პოპულისტურ პარტიებს დაუჭირეს მხარი. თუმცა, ევროპისგან განსხვავებით პოპულიზმი პერიოდულად ჩნდებოდა ლათინურ ამერიკაში, აქედან გამომდინარე ამ არგუმენტს ბევრი არ ეთანხმება (Hawkins, 2017, 346-347).

ეკონომიკურ მიზნებს შორის გამოჰყოფენ დეპრივაციას (სხვებთან შედარებით ნაკლებ შემოსავლის მიღების შეგრძნება). მის უკან დგას ბოლო ათწლეულების განმავლობაში მზარდი ეკონომიკური უთანასწორობა (Chatham House Premier:, 2018). ასევე, გამოყოფენ 2008 წლის ფინანსურ რეცესიას და მის შედეგად გატარებულ ეკონომიკურ მკაცრ ზომებს, (ე.წ „ბეილ-აუთს“), რომელიც მხოლოდ ბანკებსა და აქციათა მფლობელებს შეეხოთ, ხოლო ამ კრიზისით დაზარალებულმა უბრალო მოსახლეობამ ვერ ისარგებლა. მათი შემოსავლები პრაქტიკულად არ გაზრდილა. ამ მოვლენას მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა მთავრობებისა და არსებული პოლიტიკური ელიტებისადმი და მეინსტრიმულმა პარტიებმა მხარდაჭერა მნიშვნელოვანწილად დაკარგეს (The Rise of Populism, 2017).

ფილიფ რატგების მიხედვით, უკიდურესი მემარჯვენეები წარმატებით ახერხებენ ნაკლებ შემოსავლიანი ამომრჩევლის მიმხრობას. მათთვის ეკონომიკა კულტურული ომების გაგრძელებაა. მსგავსი შეხედულებების აქტორები ჩრდილოეთ ევროპულ ქვეყნებში უცხოელებისთვის სოციალური შეღავათების აკრძალვას ითხოვენ (Does the Economy Matter…, 2024).

ლიანა ფიქსის თანახმად, პოპულისტების მხარდაჭერა სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური ჯგუფებიდან მოდის, მათ შორის, საშუალო კლასის და მაღალი საშუალო კლასიდან. მთავარი გარღვევა მოხდა 2015 წლის იმიგრაციული კრიზისის შემდეგ (AfD გერმანიაში, შვედეთის დემოკრატები და ა.შ) (Does the Economy Matter…, 2024).

პოპულიზმის აღზევების კულტურულ ფაქტორებს შორისაა იმიგრაცია და ამით გამოწვეული ეთნო-დემოგრაფიული ცვლილებები. იმიგრაციის მაღალ მაჩვენებელს მიმღები ქვეყნის სატიტულო მოსახლეობა ყოველთვის უარყოფით აღიქვამდა (Chatham House Premier:, 2018). სწრაფი დემოგრაფიული ცვლილებები დაკავშირებული არის იდენტობასთან, ხოლო ნაციონალური პოპულიზმი კარგად იყენებს მოსახლეობის წუხილს, რომ აღნიშნული ცვლილებები სატიტულო მოსახლეობის ცხოვრების წესს „ემუქრება“. კულტურული ფაქტორების მნიშვნელობას ცხადჰყოფს „ბრექსითი“ რომელმაც აჩვენა, რომ რაციონალური არჩევანის თეორიისგან განსხვავებით, ამომრჩევლებს ეკონომიკური თვით-დაინტერესება არ ამოძრავებთ. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია იდნტობასთან დაკავშირებული საკითხები და ფართო საზოგადოების ნაწილად საკუთარი თავის მოაზრება (Chatham House Premier:, 2018).

2015 წლის იმიგრაციულმა კრიზისმა გააძლიერა პოპულისტი ძალები (მათ შორის, Afd-ის წარმატება). შემდგომმა ტერორისტული თავდასხმების შემთხვევებმა გააძლიერა პოპულისტური აქტორები. ნატივისტური სენტიმენტები, უკიდურესმა მემარჯვენე აქტორებმა კარგად გამოიყენეს (Inglehart & Norris, 2016, 15). ნაციონალისტურ-პოპულისტურმა ძალებმა საფრთხის და დაუცველობის განცდა დათესეს. წინ წამოიწია უსაფრთხოების თემებმა, სადაც ხაზგასმულია კულტურულ (ვიდრე მემარჯვენე-მემარცხნე) საკითხებზე და „ხალხის“ დაცვაზე გარედან მომავალი საფრთხეებისგან (Brubaker, 2017, 21-22). ბრუბაკერის (2017, 16-17) დასკვნით, აღნიშნული კრიზისებით პოპულისტებმა კარგად ისარგებლეს, რაც მათ ლიბერალური ელიტის პოლიტიკის შედეგებად წარმოაჩინეს.

პოპულიზმის ზრდას ხელი შეუწყო სოციალურმა მედიამ, რომლითაც კარგად ისარგებლეს პოპულისტურმა მოძრაობებმა. სოციალური მედიის პლატფორმები პოპულისტ ლიდერებს საშუალებას აძლევს, გვერდი აუარონ ტრადიციულ მეინსტრიმულ მედია

საშუალებებს და სწრაფად გაავრცელონ თავიანთი მესიჯები პირდაპირ საზოგადოებაში. მსგავსი საშუალებით, ისეთმა ლიდერებმა, როგორიც არიან ტრამპი და მელონი მოიპოვეს ფართო გავლენა და მიაღწიეს წარმატებას (Todd, 2024).

მეისონის თანახმად, აპელირება ხდება ნოსტალგიაზე, თუმცა, ისიც ეთანხმება, რომ ძირითადად ამ ძალებს მხარდაჭერის მამოძრავებელი არის მიგრაცია. ბრექსიტის მთავარი განმაპირობებელი მიზეზი იყო ხალხის ოპოზიცია მიგრაციისადმი. საბოლოო ჯამში, მიგრაცია ახდენს ზეწოლას რესურსებზე და ლიბერალიზმს ამ შეკითხვაზე ჯერ-ჯერობით პასუხი არ გაუცია, რაც ხალხის მიერ არამეინსტრიმული (მემარჯვენე) პარტიების მხარდაჭერას იწვევს (From Trump to Le Pen:, 2024)

გუდვინის (Rise of Right-Wing Populism Accelerating, 2024) თანახმად, პოლიტიკის საფუძვლები იცვლება დასავლეთში, ადრე ეკონომიკური საკითხები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა პოლიტიკას, კერძოდ მემარცხენე-მემარჯვენე დაყოფა. 2000-იანებიდან პოლიტიკა გახდა კულტურული და იდენტობის საკითხების გარშემო ორიენტირებული. ლიბერალურმა მეინსტრიმულმა ელიტებმა ეს ცვლილებები ვერ დაინახეს ან უარყვეს მილიონობით ამომრჩევლების სურვილები. უპასუხისმგებლო ელიტები დომინირებენ ყველა საზოგადოებაში არსებულ ინსტიტუტებში. ტრამპმა 2024 წელს უკეთესი შედეგი დადო ლათინოსებსა და შავკანიანებს შორის. მან გაზარდა პოლიტიკური გადაჯგუფება (realignment). იგი მოელის, რომ იგივე მოხდება გერმანიაში, სადაც ნაციონალისტურ-პოპულისტური AfD ყველაზე პოპულარული ძალაა ახალგაზრდებს შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცებს შორის აღმოსავლეთ გერმანიაში. პოპულიზმი კიდევ უფრო გაიზრდება, სანამ ლიბერალები (და ელიტები) არ გაუსწორებენ თვალს იმ საკვანძო მიზეზებს, თუ რატომ აძლევენ ხმას ადამიანები ასეთ პარტიებს. მათ უნდათ ნაკლები იმიგრაცია, მინიმალური სახელმწიფო, გაკონტრო-

ლებული ეროვნული საზღვრები (Rise of Right-Wing Populism Accelerating, 2024).

2024 წლის არჩევნები დემოკრატიებში

2024 წლის არჩევნების შედეგად ევროპარლამენტში წარმომადგენლობა გაზარდეს ნაციონალისტურმა-პოპულისტურმა ჯგუფებმა. ორბანის „ფიდესის“ ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი ფრაქცია „პატრიოტები ევროპისთვის“, რომელიც საბოლოო ჯამში სიდიდით მესამე ძალა გახდა ევროპარლამენტში (84 დეპუტატით), ამასთან ერთად დაიშალა მანამდე არსებული „იდენტობა და დემოკრატიის“ ჯგუფი (რომლის წარმომადგენლებიც ძირითადად „პატრიოტებს ევროპისთვის“ შეუერთდნენ). აფდ-ის ხელმძღვანელობით შეიქმნა *(სუვერენული ერების ევროპა)* „სუვერენიტეტის“ ფრაქცია, მასში 25 პარლამენტარია გაწევრიანებული. ორივე ეს ფრაქცია ნაციონალისტურ-პოპულისტურად შეიძლება ჩაითვალოს, პოლიტიკურ სპექტრზე ისინი უკიდურეს მემარჯვენე ფლანგზე არიან განთავსებულნი.[6]

პატრიოტები ევროპისთვის ეროვნულ სუვერენიტეტს ემხრობიან და წევრი სახელმწიფოებისთვის მეტ ძალაუფლებას მოითხოვენ. უკრაინასთან დაკავშირებით ისინი წევრებს აძლევენ საშუალებას საკუთარი პოზიცია ჰქონდეთ. ნიდერლანდებში, ხერტ ვილდერსის პარტია მაგალითად უკრაინისთვის მეტ სამხედრო დახმარებას ემხრობა. ჯგუფი სუვერენიტეტი - უკიდურესი მემარჯვენე

[6] ამ ორ ჯგუფს ევროპელ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ფრაქციას მივუმატებთ, მაშინ ისინი სიდიდით ყველაზე დიდ ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლობასაც კი გაუთანაბრდებიან. თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ტრადიციულ კონსერვატიულ ფასეულობებს და პოლიტიკის გატარებას ემხრობა, ისინი ევროსკეპტიკური დამოკიდებულებით გამოირჩევიან, ეწინააღმდეგებიან მეტ ინტეგრაციას (გარდა უსაფრთხოების საკითხებისა) ევროკავშირის ფარგლებში და უკრაინის მეტ დახმარებას ემხრობიან (The EU parliament:, 2024).

გაერთიანებაა, პრორუსული და ძალზედ ევროსკეპტიკური. მათ ასევე სურთ ძალაუფლების დაბრუნება ბრიუსელიდან ეროვნულ დონეზე. ევროს გაუქმებას და რეფერენდუმის ჩატარებას ემხრობიან ევროკავშირთან დაკავშირებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაჯგუფები განსხვავებულია და ერთმანეთის მიმართ ანტიპათიის გამო ერთიანობას ვერ ახერხებენ (The EU parliament:, 2024).

ავსტრიის თავისუფლების პარტია ისტორიულად გამოირჩეოდა იმიგრაციის მიმართ ოპოზიციით, როგორც ანტი-ელიტიზმით და ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპების უარყოფით (Miklin, 2024). ამ პარტიისთვის 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში მიგრაცია იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი (რაც პარტიის ამომრჩევლის 71%-ისთვის უმთავრესი საზრუნავი იყო), რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის „მიგრაციის პაქტს“ და თავშესაფრის მაძიებელთა სავალდებულო გადანაწილებას. პარტია აპელირებდა ეროვნულ სუვერენიტეტზე და იმიგრაციის შეზღუდვაზე. საარჩევნოდ იკვეთებოდა ნარატივები, რომელიც ევროკავშირს და პოლიტიკურ ელიტას, პასუხისმგებლობას აკისრებდა მიგრაციასთან, კლიმატის ცვლილებასთან და COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებულ კრიზისებზე. ეს ყოველივე ხელს უწყობს “ავსტრიელი ხალხის” დაცვის პოპულისტური რიტორიკის გააქტიურებას, გარე საფრთხეებისგან და გლობალისტებისგან. ევროკავშირის ისინი განიხილავენ მულტიკულტურალისტულ პროექტად, რომელიც მხარს უჭერს იმიგრაციას (Miklin, 2024).

2024 წელს ჩატარებულ ავსტრიის ეროვნულ არჩევნებში ზემოთ აღნიშნულმა პარტიამ (ჰერბერტ კიკელის მეთაურობით) 29% მიიღო, რომელსაც სურს „ციხესიმაგრის“ შექმნა იმიგრანტების წინააღმდეგ. სხვა პარტიები უარს ამბობენ მათთან კოალიციაში შესვლაზე. მხარდაჭერის ზრდა განაპირობა, ეკონომიკურმა ვითარე-

ბამ, განსაკუთრებით ინფლაციამ და მიგრაციის პრობლემებმა[7] (What's Behind the Rise of Far Right in Europe, 2024).

ევროპარლამენტის არჩევნებში პოპულისტურმა ძალებმა ისარგებლეს ინფლაციის მაღალი მაჩვენებლით და გერმანიის მთავრობის კურსით მწვანე ეკონომიკური ტრანსფორმაციისკენ, რომლის შედეგები წარმოაჩინეს, როგორც ხელისუფლების მიერ ჩვეულებრივი მოქალაქეების ინტერესების იგნორირება (Arzheimer, 2024). იმიგრაციამ, განსაკუთრებით გერმანიის მიერ მილიონზე მეტი უკრაინელი ლტოლვილის მიღების კონტექსტში, მთავარი როლი ითამაშა პოპულისტური პარტიების წარმატებაში. იმიგრაციის მნიშვნელობამ კვლავ წინა პლანზე წამოიწია 2023 წლიდან სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე. კერძოდ, ფედერალურ და შტატის მთავრობებს შორის დაფინანსების შესახებ დავების, ოპოზიციის მოწოდებების შესახებ, რომ იმიგრაცია მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს და მედიაში წარმოებული დებატების გამო, რომელიც იმიგრაციის უფრო ფართო სოციალურ და კულტურულ შედეგებს ეხებოდა[8] (Arzheimer, 2024). ისეთმა პარტიებმა, როგორიც არიან AfD და BSW- (სარა ვაგენკნეხტის ალიანსი, რომელიც მემარცხენე პოპულისტურ პარტიად მიიჩნევა), იმიგრაცია საკვანძო საკითხად შეაფასეს, გზავნილებით, რომელიც კულტურულ და ნაციონალისტურ სენტიმენტებზე აპელირებდა. ორივე პარტიის თანახ-

[7] აღსანიშნავია, რომ იმიგრაციის პაქტი იქნა მიღებული, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე გადაანაწილებს მიგრაციის ტვირთს, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა და უკიდურესი მემარჯვენეები უკმაყოფილოები არიან ამ შეთანხმებით (რადგან მათ საერთოდ არ სურთ იმიგრანტების მიღება). (Behind the rise of far right in Europe – DW news)

[8] იმიგრაციის შესახებ დებატები უფრო თვალსაჩინო გახდა ძალადობრივი ინციდენტის შედეგად, როდესაც ავღანელი მამაკაცი დანით დაესხა თავს მოქალაქეს, რომელმაც პოლიციელის დაღუპვა გამოიწვია. აღნიშნულმა განაახლა დისკუსიები ისლამიზმის, დეპორტაციისა და უსაფრთხოების საკითხებზე.

მად, საიმიგრაციო პოლიტიკა ძალიან ლიბერალური იყო, ხოლო მიგრანტების ინტეგრაცია გერმანულ საზოგადოებაში არაეფექ-ტური (Arzheimer, 2024).

მოსალოდნელია, რომ ევროპარლამენტში ნაციონალისტურ-პოპულისტური ჯგუფების გავლენა გაიზრდება დებატებსა და პო-ლიტიკური კურსის გადაწყვეტილებისას. აღნიშნული გამოჩნდა, როდესაც მსგავსმა ჯგუფებმა მოახერხეს იმიგრაციაზე კონტროლის აუთსორსინგი მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმების შედეგად (ჩრდი-ლოეთ აფრიკაში) და ასევე მიგრაციის შესახებ დებატები წარმოაჩი-ნეს, როგორც საფრთხის შემცველი, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საზღვრის კონტროლსა და დეპორტაციებზე. რი-ტორიკისა და პოლიტიკის ცვლილების ტენდენცია ხელს შეუწყობს ულტრამემარჯვენეების სამომავლო ზრდას მომდევნო ევროპარლა-მენტში და მასთან ერთად მათი პოლიტიკის მეინსტრიმიზაციას[9] (Ivaldi & Zankina, 2024(b), 426-427).

გაერთიანებული სამეფოს რეფორმის პარტიამ, ნაიჯელ ფარა-ჯის მეთაურობით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში 14,3% მიიღო და მესამე ადგილი დაიკავა. მართალია პარტიამ მხოლოდ 5 მანდატი მიიღო თემთა პალატაში (Stewart, 2024) (რაც ბრიტანეთში არსებული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით უნდა აიხსნას), მაგრამ მიღებული შედეგი პარტიისთვის წარმატებად უნდა ჩაით-ვალოს. პარტია გამოირჩევა ანტი-იმიგრაციული შეხედულებებით, პარტიის ლიდერ ამომრჩეველს თავშესაფრის მაძიებელთა „შემოსე-ვაზე“ აფრთხილებდა და ევროსკეპტიკური პოზიციებით გამოირჩე-ოდა (Regan et al, 2024). კვლევების თანახმად, პარტიის მხარდამჭე-

[9] რაფაელე ფიტოს (FdI-ECR) ჩართვა ერთობისა და რეფორმების აღმას-რულებელი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ახალ ევროკომისიაში მიუთითებს ასეთ ტენდენციაზე და ევროპელ კონსერვატორთა და რე-ფორმისტთა დაახლოების მცდელობის ერთ-ერთი მაგალითია (Ivaldi & Zankina 2024, 427).

რები გახდნენ ის ამომრჩევლები, რომლებიც 2019 წლის არჩევნებში კონსერვატიულ პარტიას უჭერდნენ მხარს და იმიგრაციის შეზღუდვას მოითხოვდნენ (Penna, 2024). სხვა ნაციონალისტურ-პოპულისტური აქტორების მსგავსად, პარტიის დისკურსი იმიგრაციასთან დაკავშირებით იმიგრაციას უსაფრთხოების ჭრილში განიხილავდა და ქვეყნის საზღვრის კონტროლზე აპელირებდა, შესაბამისად პარტიის წარმატება პოპულიზმის ზრდის კულტურული ფაქტორებით უნდა აიხსნას.

იმიგრაციას მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა ნაციონალ-პოპულისტების წარმატებასთან 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში საფრანგეთში. მათ შორის, ლე პენის ეროვნული გაერთიანების და ზემურის პარტიისთვის („რეკონკისტა“). ეს უკანასკნელი ნატივისტური პოზიციებით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ მათი დისკურსი მოიცავს ისეთ გზავნილებს, როგორიც არის საფრანგეთის „ისლამიზაციის“ შეჩერება და „საზღვაო ბლოკადის“ განხორციელება ხმელთაშუა ზღვიდან მომავალი იმიგრაციისგან. ამავდროულად, დაპირებებს შორის იყო ისლამისტების, კრიმინალებისა და იმიგრანტების დეპორტაცია. ლე პენის პარტიაც იმიგრაციაზე, ეროვნულ იდენტობასა და ეკონომიკურ საკითხებზე იყო კონცენტრირებული (იმიგრაციის თემა ასევე მნიშვნელოვანია ლე მანშონის, ახალი პოპულარული ფრონტისთვის, რომელიც მემარცხენე პოპულისტურ პარტიად მიიჩნევა, თუმცა ისინი ძირითადად, ეკონომიკურ და უთანასწორობის პრობლემებს აქცევენ ყურადღებას) (Ivaldi, 2024). ამ პარტიების დისკურსი უსაფრთხოებაზე ამახვილებს ყურადღებას და აქცენტირებულია ქვეყნის დაცვაზე ისლამური იმიგრაციისგან.

საფრანგეთის მოსახლეობის 44%-ისთვის 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო იმიგრაცია (ხოლო 56%-ისთვის - გაძვირებული ცხოვრება და მსყიდველობითი უნარიანობა), რამაც განაპირობა მათი არჩევანი

ხმის მიცემისას (Ivaldi, 2024). აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტის შედეგებმა საფრანგეთის პრეზიდენტს, ემანუელ მაკრონს, უბიძგა ახალი საპარლამენტო არჩევნები დაენიშნა. მართალია ეროვნულმა გაერთიანებამ პირველობა ვერ მოიპოვა, მაგრამ გაზარდა საკუთარი მხარდაჭერა (15,4%-დან 2022-ში, 24,7%-მდე 2024-ში) (Leveque, 2024).

უკიდურესი მემარჯვენე პოპულიზმის მხარდაჭერის ზრდა, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეულია იმიგრაციითა და მისი კულტურული გავლენით, ასახავს ნატივისტური და ანტიიმიგრანტი სენტიმენტების მზარდ გავლენას საფრანგეთის პოლიტიკაში.

დასკვნა

როგორც გამოიკვეთა, ნაციონალისტურ-პოპულისტური შეხედულებების მქონე პარტიებმა წარმატებები მოიპოვეს დემოკრატიულ სახელმწიფოებში და ევროპარლამენტში ჩატარებულ არჩევნებში. 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგად, შეიქმნა ნაციონალისტურ-პოპულისტური ახალი დაჯგუფებები, როგორიც არის „პატრიოტები ევროპისთვის“ და „სუვერენული ერების ევროპა“ რომლებიც ანტიიმიგრაციული პოლიტიკით, ევროსკეპტიციზმით და უკრაინის დახმარების შეჩერებას მოითხოვენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ მოუპოვებიათ უმრავლესობა, მოსალოდნელია მათი გავლენის ზრდა დებატებსა და პოლიტიკური კურსის გადაწყვეტილებაზე, რაც ხელს შეუწყობს მათი პოლიტიკის მეინსტრიმიზაციას.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში 2024 წელს ჩატარებულ ეროვნულ არჩევნებში უკიდურესმა მემარჯვენეებმა წარმატებას მიაღწიეს, საფრანგეთში, ავსტრიასა და გაერთიანებულ სამეფოში. მათი წარმატება განაპირობა ეკონომიკურმა ფაქტორებმა და გამძვინებულმა საცხოვრებელმა პირობებმა (მაგ., ავსტრიაში), ასევე კულტურულმა ფაქტორებმა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ეროვ-

ნული იდენტობის შენარჩუნებაზე და იმიგრაციის წინააღმდეგ არის მიმართული. დისკურსები აქცენტს აკეთებენ ქვეყნის უსაფრთხოებაზე, კერძოდ, თავშესაფრის მაძიებელთა „შემოსევისა“ და „ისლამიზაციისგან“ თავის დაცვაზე (მაგ., გაერთიანებული სამეფო და საფრანგეთი), ისევე როგორც საზღვრის გამკაცრებულ კონტროლზე. აღნიშნული მოწოდებები, რომლებიც ამავდროულად, დაკავშირებულია ეკონომიკურ სირთულეებთან ზრდის პოპულიზმის მიმზიდველობას და უახლოესს მომავალში დემოკრატიული სახელმწიფოების გამოწვევად დარჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

ნაციონალიზმი: ენციკლოპედიური ცნობარი, 2021

Arzheimer, Kai. (2024). “Germany’s 2024 EP Elections: The Populist Challenge to the Progressive Coalition.” In: 2024 EP Elections under the Shadow of Rising Populism. (eds). Gilles Ivaldi and Emilia Zankina. European Center for Populism Studies (ECPS). October 22, 2024. https://doi.org/10.55271/rp0071

Election Results. Comparative Tool. European Parliament. Retrieved from https://results.elections.europa.eu/en/tools/comparative-tool/

Brubaker, R. (2017, October 26). Why Populism? *Theory and Society*(46), 357-385. doi:https://doi.org/10.1007/s11186-017-9301-7

Chatham House Premier: National Populism. (2018, October 24). [Chatham House]. YouTube. Retrieved January 22, 2021, from https://www.youtube.com/watch?v=oxNWQd7vbyU

Does the economy matter to the far right? | Business Beyond. DW News. 31 May, 2024. (Video) YouTube. Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=9PqfU_HcUJo

Gidron, N., & Bonikowski, B. (2013). Varieties of Populism: Literature Review and Research Agenda. *The Weatherhead Center for International Affairs*(13-0004).

Gilles Ivaldi, Emilia Zankina (Dir.). 2024 EP Elections under the Shadow of Rising Populism. European Center for Populism Studies (ECPS), 432 p., 2024(b), ffhttps://doi.org/10.55271/rp0059ff. ffhal04760777f

Hawkins, K., Read, M., & Pauwels, T. (2017). Populism and Its Causes. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 267-286). New York: Oxford University Press.

Hawkins, K. (2019). The Ideational Approach. Routledge Handbook of Global Populism. Edited by Carlos de la Torre. (Pp.104-127). New York.

Inglehart, R. F., & Norris, P. (2016). Trump, Brexit, and the Rise of Populism: Economic Have-Nots and Cultural Backlash. *Harvard Kennedy School*, 1-52. Retrieved May 20, 2021, from https://tinyurl.com/5bbnm637

It's a major global election year, and populism is on the ballot. IPSOS. 23 February, 2024. Retrieved from https://www.ipsos.com/en-us/its-major-global-election-year-and-populism-ballot

Ivaldi, G. & Zankina, E. EuroViews. This year's European elections remain under the shadow of rising populism. Euronews. (2024(a), 13 November). Retrieved from https://www.euronews.com/2024/11/13/this-years-european-elections-remain-under-the-shadow-of-rising-populism

Leveque, J. French Parliamentary Elections: What is Next for the Country and What It Means on the International Stage. 19, July 2024. International Center for Defense and Security. Retrieved from https://icds.ee/en/french-parliamentary-elections-what-is-next-for-the-country-and-what-it-means-on-the-international-stage/

Miklin, Eric. (2024). "The Populist Radical-right Freedom Party in the Austrian 2024 EU elections." In: 2024 EP Elections under the Shadow of Rising Populism. (eds). Gilles Ivaldi and Emilia Zankina. European Center for Populism Studies (ECPS). October 22, 2024. https://doi.org/10.55271/rp0061

Mudde, C. (2004). The Populist Zeitgeist. *Government and Opposition*, Published by Blackwell Publishing, Oxford, USA. 541-563.

Penna, D. (2024, 5 July). The former Brexit Party surprised pollsters by winning a breakthrough four seats in the 2024 election – but where did Reform UK come from? The Telegraph. Retrieved from https://www.telegraph.co.uk/politics/2024/07/04/reform-uk-party-richard-tice-history-brexit-tories/

Populist Radical Right. European Center for Populism Studies (ECPS). Retrieved from https://www.populismstudies.org/Vocabulary/populist-radical-right/

Prof. Francis Fukuyama. The Global Rise of Populist Nationalism? (2017, July 14). [World Affairs Council of the Monterey Bay Area]. YouTube. Retrieved February 21, 2022, from https://tinyurl.com/42fxchmp

Regan, H., Picheta, R., & Said-Moorhouse, L. (2024, 5 July). Farage wins first seat as his upstart right wing Reform UK party gains ground. Retrieved from https://edition.cnn.com/2024/07/05/uk/nigel-farage-reform-party-win-gbr-intl/index.html

Rise of Right-Wing Populism ACCELERATING | Matt Goodwin Assesses Political Landscape. GBNews. 16, November 2024. (Video) YouTube. Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=TXCdjImS7aY

Stavrakakis, Y. (2017). Populism and Hegemony. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 673-695). New York: Oxford University Press.

Stewart, I. (2024, 16 August). 2024 general election: Performance of Reform and the Greens. House of Commons Library. Retrieved from https://commonslibrary.parliament.uk/2024-general-election-performance-of-reform-and-the-greens/

The EU Parliament: Who's In, Who's Out, and What It Means EU Made Simple. (2024, 14 July). (Video) YouTube. Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=xhGYzQIrLuc

The Rise of Populism. (2017, March 4). [TRT World]. YouTube. Retrieved November 14, 2020, from https://www.youtube.com/watch?v=Q2xkgEdm19c

Todd, Brad. Populism will win the 2024 election. 24 October, 2024. The Spectator. Retrieved from https://thespectator.com/politics/populism-wins-2024-election/

What's Behind the rise of far right in Europe. DW News. (2024, 30 September) (Video) YouTube. Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=i6J57l6on28

George Gogsadze

The 2024 elections in democracies and the rise of national-populism

Abstract

The article deals with the reasons for the rise of national-populism in the 2024 elections in Western democracies and the European Parliament. The national-populist discourse, which appeals to the "common people" against the elites, mainly focuses on nativism and anti-immigrant messages. The article reviews the economic and the cultural factors regarding the rise of populism.

According to the findings, the success of nationalist-populist parties in the 2024 elections was due to cultural and national identity-related reasons, in addition to economic difficulties. A significant part of their voters supported restrictions on immigration. Far-right parties successfully managed to combine anti-immigrant messages with the discourses related to the security, such as calls for "building a fortress", protecting the country from "invasion" of the asylum seekers and "Islamization". Against the backdrop of existing challenges, these messages fuel support for populists and lead to the mainstreaming of these issues.